პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ოთხშაბათი
6
აგვისტო
№ 183
(16309)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მეტი ყურადღება მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვას, მშრომელთა მიღების ორგანიზაციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მუშაობენ მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციისათვის ცალკეული საბჭოთა საწარმოები, მმართველობითი აპარატის დაწესებულებანი და სხვა დაწესებულებანი, რომლებიც დაკავშირებული არიან ქალაქ თბილისის მოსახლეობის მომსახურების სფეროსთან.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში თბილისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ გარკვეული წარმატებებს მიაღწია: ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ქალაქის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა.

ასრულებენ რა სკკპ XXIV ყრილობის მითითებებს მშრომელთა კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლების, მათი ყოფიერებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების პროგრამების პრაქტიკული გადაწყვეტის, მშრომელთა საჭიროებების, მოთხოვნილების, თხოვნისა და წინადადებებისადმი საქმიანი, ყურადღებიანი დამოკიდებულების ატმოსფეროს შექმნის შესახებ, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურო და ქალაქის რაიკომები უკანასკნელ წლებში რეგულარულად განიხილავდნენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ინტენსიურ ფაზაში მყოფი საბჭოთა საზოგადოების, ადამიანის, ოჯახის, ბავშვების, ახალგაზრდობის, ოჯახის, ბინათმოწყობის, ადამიანის ჯანმრთელობ

შრომით ვაღიდოთ საბჭოეთი!

მიმართვა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ახალგაზრდობისადმი

ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელები უდიდეს წარმატებებს აღწევენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა შესრულებაში და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

პარტიის მიერ შემუშავებული ეკონომიური და სოციალური გარდაქმნების, სახალხო მეურნეობის ტექნიკური განახლებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების ვრცელი პროგრამის განხორციელება სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს მუშათა კადრების მომზადების სისტემას. მუშათა კლასის რეზერვების აღრდაში გადამწყვეტი როლი ენიჭება პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას, მის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას.

პროფტექგანათლების სასწავლებლებში რესპუბლიკის ასობით წარჩინებული ადამიანი აღიზარდა. მათ შორის არიან სოციალისტური შრომის გმირები ეთერ სოლომონია, იოსებ ბაზარაძე, გრიგოლ ბოგვერაძე, ნანული ჩერქეზიშვილი, ბორის ვაშაკიძე, დავით ბაღდავაძე, კონსტანტინე მდივანი, ალექსანდრე გამყრელიძე. ლენინური პრემიის ლაურეატი პავლე წერეთელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ევგენი სვანიძე, მერიან კოპოლაშვილი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის სახელგანთქმული ნოვატორი შუშები პავლე ტენიშჩევი, ზურაბ გველუაშვილი და მრავალი სხვა.

სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში შრომობენ საქვეყნოდ ცნობილი მუშები და კოლმეურნეები, ისეთები, როგორიც არიან ამირან ფანცულაია, დარეჯან ტაკიძე, ვალერიან ჭელიძე, ტატიანა ჩხაიძე, ვახილ ბოროდავკა, კუზმა ლუბავსკი, ვასილ პაპინაშვილი, მირდან აკოფოვი, გრუზო ობოლაძე, ვლადიმერ ასათიანი, შალვა ომანიძე, შოთა ჯოხაძე, რუსუდან ციცაგი, მზია არათანაშვილი და მრავალი სხვა.

წარჩინებული შრომით, საქმისადმი პატიოსანი და კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით მათ სახელი და პატივისცემა მოიხვეჭეს.

ჩვენი ახალგაზრდა მეგობრებო, კარგად იცით, რა როლს უთამაშებს ახალგაზრდობის პროფესიულ განათლებას სკკპ XXIV ყრილობა, როგორ ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მაღალკვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებისათვის, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა აღზრდისათვის, მათი სწავლისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, პროფტექსასწავლებლების ქსელის შემდგომი განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფლად პროფტექსასწავლებელთა ქსელის განვითარებას.

„იზრდება ახალი ტიპის წარმოების მუშაკი, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა კომკავშირის XVII ყრილობაზე, — რომელშიც სულ უფრო ჰარმონიულად შეხამებულია ფიზიკური და გონებრივი შრომა. ეს არის ფართო პროფესიული ჰორიზონტისა და ოსტატობის, თანამედროვე წარმოების პოლიტექნიკურ საუძველთა ღრმადმცოდნე ადამიანი, რომელსაც შეუძლია სწრაფად აითვისოს უახლესი მანქანები და ტექნოლოგიური პროცესები“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახეს რესპუბლიკაში პროფტექგანათლების სისტემის შემდგომი სრულყოფის კონკრეტული გზები. ახლა საქართველოში ოთხმოცზე მეტი პროფტექსასწავლებელი მუშაობს, რომლებშიც ახალგაზრდობა ეუფლება 170-ზე მეტ პროფესიას.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის პროფტექგანათლების სასწავლებლებმა უნდა მოამზადონ და შრომითს საქმიანობაში ჩააბან 104 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა. ახალ სასწავლო წელს 24.400 ქალიშვილი და ჭაბუკი პირველად მიუსხდება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მერხებს, ხოლო 22.500 მათი კურსდამთავრებული წარმოებაში მივა. თანამედროვე ტექნიკური სასწავლებელი — ეს არის მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით აღჭურვილი სასწავლებელი, სადაც ახალგაზრდობას ყველა პირობა აქვს შექმნილი ცოდნისა და შრომითი ჩვევების დაუფლებისათვის. მოსწავლეთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები, სახელოსნოები და კლუბები, ბიბლიოთეკები, სპორტული დარბაზები, საცურაო აუზები. პროფტექსასწავლებელთა აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან სიერთო საცხოვრებლით. უფასო კვებით, ფორმითა და სპეცტანსაცმლით. სტიპენდიით, კომუნალური მომსახურებით. სასწავლებლებში ახალგაზრდები თვისებენ არა მარტო პროფესიებს, არამედ იღებენ იდეურ-პოლიტიკურ წრთობას, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შეძენილი ცოდნა ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ცხოვრების ფართო გზას უხსნის, იგი ხდება მათი შემდგომი ზრდის, ზოგადი და სპეციალური განათლების დონის ამაღლების საფუძველი.

ძვირფასო ამხანაგებო!

სამშობლო, პარტია, ხალხი თქვენგან მოელიან, რომ სწორად განსაზღვრავთ საკუთარი ცხოვრების გზას, დროულად აირჩევთ პროფესიას, რომლის ათვისებაშიც დაგეხმარებათ პროფტექსასწავლებლები.

ჩვენ, უფროსი თაობის წარმომადგენლები, მოგიწოდებთ მუშათა კლასის ახალგაზრდა ცვლას, ღირსეული მემკვიდრენი იყოთ საბჭოთა ხალხის ხანელოვანი ტრადიციებისა. იმისათვის, რომ დადგეთ ნამდვილი მუშა, საჭიროა გულმოდგინედ და მოთმინებით დაეუფლოთ ცოდნას, პროფესიონალ ოსტატობას, იყოთ დიდად კულტურული და განათლებული ადამიანები, გიყვარდეთ და პატივს სცემდეთ შრომას, ამაყობდეთ თქვენი მომავალი პროფესიით, სათუთად უფრთხილდებოდეთ მშობლიური საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობის; ხელბეკოთა მეურნეობის ღირსებას. დაე მოელი თქვენი ცხოვრების კანონი იყოს სწრაფვა მუდამ და ყველაფერში შეასრულოთ დიდი ლენინის ანდერძი.

თქვენ უნდა მიიღოთ შრომითი ეხტაფეტა, ღირსეულად ატაროთ საბჭოთა მუშის მაღალი წოდება!

მოგიწოდებთ, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, რესპუბლიკის საშუალო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მოსწავლეებო: ისწავლეთ პროფტექსასწავლებლებში. აქ თქვენ შეიგრძნობთ შემოქმედებითი შრომის დიდ ბედნიერებას, რომელსაც პროფესიული სკოლა იძლევა.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ აქტიურად გამოხმაურებით ჩვენს მოწოდებას, შეხვალთ პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში, ღირსეული ცვლა გახდებით ჩვენი გმირული მუშათა კლასისა!

მოგმართავთ თქვენ, ქართველო ქალიშვილებო! გულმოდგინედ დაეუფლეთ პროფესიებს! თქვენ მოგელიან ქარხნები და ფაბრიკები, მშენებლობები და საკოლმეურნეო მინდვრები, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას სჭირდება ტრაქტორისტები და ვოდმბაინერები, ხარატები და ზეინკლები, კალატოზები და დურგლები, მჭსოველები და მრთველები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ირაკლი აბაშიძე**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები **ვიქტორ კუპრაძე, აჩარ ქიქიგური, ფერდინანდ თავაძე**, პროფესორი **შუანი ოხოლაძე**, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე **ივანე ჩხეინაელი**, სკკპ წევრი 1917 წლიდან **დავით ლომაძე**, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი **იაკობ ხვედელიანი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელი **მანანა კობახიძე**, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროგადამშემკვეთელი ქარხნის მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი **კონსტანტინე ილურიძე**, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი **თამარ ყუფუნია**, საბჭოთა კავშირის მარშალის ტოლბუხინის სახელობის № 5 საშუალო პროფტექსასწავლებლის საწარმოო სწავლების დამსახურებული ოსტატი **ალექსანდრე ნონიაშვილი**, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ოსტატი **იოსებ ნონეშვილი**, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **პაპაკი ვასაძე**, საქართველოს სსრ დამსახურებული მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი **ივანე ბაიდოშვილი**, თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი **ვერა ქეჟაშვილი**, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ნოვატორი მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი **გიორგი კურტანიძე**, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი **არჩილ ძაბაშვილი**, საქართველოს სსრ პროფტექგანათლების დამსახურებული მასწავლებელი **ვასილ აბზიანიძე**, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ნოვატორი მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ზურაბ სარალიძე**, სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **არსენ კობაიძე**, თბილისის № 5 საშუალო პროფტექსასწავლებლის ფრიადოსანი მოსწავლე **ელგუჯა ურუშაძე**.

მოვთხოვნელობა რეკომენდაციისა

ჯუთაისი (საკ. კორ.). ... ტრომექანიკური ქარხნის ... ელექტრომანქანების საამქროს მარგაგნელის, სკკპ წევრის ... ძიგავას ანგარიში პარტიის რიგებში შესასვლელად მის მიერ რეკომენდირებულ თანამოსაქმეთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ გ. ძიგავა გახუხრელად ასრულებს პარტიის საწესდებო მოთხოვნას, ყურადღებით ეკიდება პარტიაში მისაღებთა შრომითი და პოლიტიკური თვისებების შესწავლას, ხარჯავს მათი აქტივობის ამაღლებისათვის. ამის შედეგიც არის, რომ მის მიერ რეკომენდირებული მუშები ა. უგრეხელიძე, თ. მეკავანაძე, ჯ. მებურეშვილი და სხვები გამოირჩევიან ნაყოფიერი შრომით და საზოგადოებრივი საქმიანობით.

პარტიულმა კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი რეკომენდატორთა პასუხისმგებლობის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

საზოგადოებრივი აზრის საბჭო

ტყიბული (საკ. კორ.). პარტიის საქალაქო კომიტეტთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მუშები, კოლმეურნეებნ, ექიმები, მასწავლებლები.

საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ცირკიძე, „ტყიბულის“ რედაქციის მმრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე, სსკ კავშირის ეურნალისტთა კავშირის წევრი გ. გეწაძე ხოლო მდივნად — პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი ზ. ლომთათაძე.

საბჭოს პირველ სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართება, შეიქმნა ორი საპრობლემო სექცია.

მსჯელობს კომიტეტი...

რუსთავი (საკ. კორ.). უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ქიმიურმა კომბინატმა რკინიგზა ვაგონების მოცდენისათვის ჯ. რომის სახით გადაიხადა 74 ათასი მანეთი. კომბინატის პარტიულმა კომიტეტმა ვაგონების მოცდენის მიზეზების დეტალურად შესწავლის მიზნით გამოყო სპეციალური კომისია, რომელმაც მოამზადა საკითხი პარტიულ კომიტეტის განსახილველად.

კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ ქარხანაში დაბალია ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზაციის დონე, ბევრ უბანზე მოისესტეს შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა.

პარტიული კომიტეტის სხდომის დადგენილებაში ყურადღება გამახვილდა ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრის გზებზე, გაძლიერდა კომუნისტთა კონტროლი თვითეულ სამუშაო უბანზე და სხვ.

მიღებული ზომების შედეგად რკინიგზის ვაგონების მოცდენა მკვეთრად იკლო ივნისსა და ივლისში.

მინას-წყალი!

ვენახებს რწყავენ... ავტოცისტერნებით

კახეთს ასეთი გვალვა კარგახანს არ ახსოვს. სიმინდს, მზესუმზირას, ბოსტნეულს სიცხისგან უჭირთ, გვალვამ ვენახებს სერიოზული საშიშროება შეუქმნა.

მშრომელი კაცი, ცხადია, გულგრილად ვერ უყურებს ამ სურათს. წყალი, წყალია ერთადერთი საშველი! განსაკუთრებით გაუჭირდა შირაქს, ზილიხას, ტარიბანას — წითელწყაროს რაიონის ამ სიუხვის ველებს.

რაიონში გვალვის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო კომისია შეიქმნა. ფეხზე დადგა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივი. ალაზანზე ახალი წყალსატეხმაავები მოაწყეს სოფლების არხიოლაკალის, ქვემო ქედის, საბათლოს კოლმეურნეობებმა.

გუშინ ზემო ბაჩხაანის ვენახებს წყალთა სიესე ცისტერნებით მატარებლის ეშელონი მოადგა. იქ იყო დიდი და პატარა. მევენახე ბრიგადირები: დ. ჯამასპიშვილი, ი. პაპაჩხშვილი, მევენახეები, მექანიზატორები შ. მატროშვილი, ი. მასხარაშვილი, გ. ყოჩიაშვილი, ლ. მარტყოფიშვილი. ყველას ჩამოთვლა ძნელია. ყველას თოხი ეჭირა ხელში და მწყურვალე ვაზისაკენ მიაკადა ეშელონის ცისტერნებიდან მონადენი წყალი.

ეშელონმა მალე პირი უკან იბრუნა. შემდეგ ხელმორიგე ჩადგა ეკე-ზედაწყლის ვენახებში. ამ დღეს ათას კუბურ მეტრამდე წყალი მიეშვა ვენახებში.

სადაც რკინიგზა ვერ უდგება იქ ავტოცისტერნებს იყენებენ. ავტოცისტერნები უწყვეტ ნაკადად მიედინებიან ზილიხს, ტარიბანს ზერებისაკენ. მძღოლები ჩქარობენ, რომ რაც შეიძლება მეტი წყალი გადატანონ ვენახებში.

გვალვას გამოვტაცოთ ვენახი, გადავარჩინოთ ვაზი, ეაზი შვილივით ნაზარდი, წლეულდელი მოსავალი! — ამ დევიზით დღეადამ შრომობენ ახლა წითელწყაროს რაიონის მევენახეები, მშრომელები.

ვლ. მჰედლიშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: მატარებელმა ზემომარხანელთა ზვრებში ცისტერნებით წყალი მიიტანა.

გ. თბილაშვილის ფოტო.

უტევენ გვალვას

● ძლიერდება რწყვის ტემპი ● სარწყავად ჟუდზე კაცი გამოვიდა ● შეუფერხებლად მუშაობენ სატუმბავი დანადგარები, ავტოცისტერნები.

თელავი. (საკ. კორ.). გვალვის წინააღმდეგ საბრძოლველად ფეხზე დადგა დიდი და პატარა, რაიონის მთელი მოსახლეობა. ბევრგან სადღეღამისო რწყვა მიმდინარეობს. სოფელ ფშაველის კოლმეურნეობამ მდინარე სტორის წყლის არხებით 949 ჰექტარს მორწყა ვენახები, სიმინდი და ბაღჩა-ბოსტნეული. ახლა მეორედ მიმდინარეობს რწყვა. მდინარეების წყალს კარგად იყენებენ სოფელ სანიორის კოლმეურნეობა, ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობა და თელავის ეთერზეთების ქარხანა-საბჭოთა მეურნეობა.

მაგრამ გვალვამ ყველაზე მეტად მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ვენ-მინდვრები, ვენახები და ხეხილის ბაღები შეაწუხა. ამიტომ ახლა აქ ქუდზე კაცია გამოსული. მდინარე ალაზნისა და კახეთის ძველი სარწყავი არხის ნაპირებზე დღეღამ არ წყდება აგრეგატებისა და ავტომანქანების ხმაური. წყალსაქაჩი ტუმბოები მაცოცხლებელ წყალს აწვდიან ახლომდებარე ვენახებს, სიმინდის ნათესებსა და ბოსტნებს. უფრო მოშორებულ ადგილებში კი ავტოცისტერნებით ეზიდებიან წყალს.

სოფელ აკურის კოლმეურნეობას ორი წყალსაქაჩი ტუმბო აქვს მოწყობილი. ყოველდღიურად ათობით ჰექტარ ფართობზე ცოცხლდება გვალვით შეწუხებული მცენარე. წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში კი ერთი წყალსაქაჩი ტუმბო და 8 ავტოცისტერნა წუთის დაფყოვნებლად აწვდიან წყალს გამომშრალ ნიადაგს.

სარწყავი აგრეგატები, ტუმბოები და ავტოცისტერნები კარგად არის გამოყენებული აგრეთვე ყურდღელაურის კოლმეურნეობაში, კისისხევის საბჭოთა მეურნეობაში, შალაურის სანერგე მეურნეობაში და სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში.

ა. თვალიაშვილი.

საქართველოს სსრ განათლების საქმინისტროს კოლეგიის სხდომა

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ სასწავლო წელს

ნელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიულმა, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელებმა გასული წლების მწარე გაკვეთილებიდან სათანადო დასკვნები გამოიტანეს და უფრო ოპერატიულად ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობას. შარშან ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამეურნეო წელი ცუდად დაამთავრეს. საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს მხოლოდ 11,3 ცენტნერი სიმინდი. წლეულს ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. სათხინო კულტურები მოსავლიანად მიუხინეს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობის მუშებს, ნათესებს მოაყარეს სასუქი, წყალი, დროულად გათოხნეს, და ბევრგან მოსალოდნელია შარშანდელთან შედარებით სიმინდის 2-3-ჯერ მეტი მოსავალი მიიღონ.

ამ მხრივ პირველობისათვის იბრძვის ცხინვალის რაიონის ქსუისის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე რ. ალბოროვი, მთავარი აგრონომი უ. ჯავახიშვილი, პარტიბიუროს მდივანი შ. გალეევა).

პარტიის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, საოლქო საბჭოს აღმასკომი და სოფლის მეურნეობის სამმართველო უდაოდ კარგად მოიქცნენ, რომ მინდვრის სამუშაოთა მიმდინარეობაზე ინფორმაციას სტატისტიკური სამმართველოს ცნობების მიხედვით, ე. ი. 15 დღეში ერთხელ კი არ ეკებენ, არამედ სპეციალურად შექმნეს შტაბი და ყოველდღე არიან სამის კაცისგან სათხნი კულტურების, პურეულის მკის, თივის დამზადების მიმდინარეობაზე. ამით ხელმძღვანელებს საშუალება მიეცათ იქ, სადაც ფერხდება მუშაობა, ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად იმავე დღეს ოპერატიულად მიიღონ ზომები. სწორედ ამის შედეგია, რომ როგორც ზნაურის, ცხინვალის, ისეს ლენინგორის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში შაქრის ჭარხლის ნათესების პირველი, მეორე თოხნა-კულტივაცია დიდი ხანია უკვე დაამთავრეს. ახლა სალიროების მიხედვით რწყავენ, ნასუქი შეაქვთ.

სამწუხაროდ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არიან ისეთი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სათოხნი კულტურების მოვლა-დამუშავებას. ეჩიდვის საბჭოთა მეურნეობა ადრე ცნობილი იყო არა მარტო ოლქში, არამედ რესპუბლიკაშიც. წელსაც ასე გვეგონა. საოლქო საბჭოს აღმასკომის ცნობების მიხედვით მეურნეობაში დროულად დაამთავრეს სიმინდის პირველი-მეორე თოხნა-კულტივაცია. ადგილზე მეურნეობის მთავარმა აგრონომისტმა ა. ჯაკაევმა და პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. ცხოვრებოვმაც ასე ჩაგვაწერინეს. სამწუხაროდ, ნათესებს დათვალიერებამ სულ სხვა სურათი გვიჩვენა.

მესამე აგრონომიაში (მმართველი ი. ბორცვაძე) სიმინდის მეორე თოხნა-კულტივაცია ჯერ კიდევ ჩვენი იქ ყოფნის დროს 30 ივლისს არ იყო დამთავრებული. ნათესები ბალახით არის დაფარული, უფრო მეტიც, უკანასკნელ დღეებში გვალვების გამო სიმინდის ნათესი ხმება. იქვე გვერდზე ერთი მეტრის დაშორებით სარწყავი წყალია, მის გამოყენებაზე კი თავს არ იწუხებენ.

წყალში დგანან და სიმინდის ნათესი უწყლობით ხმება. ეს განა დანაშაული არ არის?!

მეურნეობის მესვეურებმა გვითხრეს, რომ შაქრის ჭარხალი ყველგან სანიმუშოდ არის დამუშავებული, პირველი და მეორე თოხნა-კულტივაცია ავროწესების ლოსის, ქუთაისის, ბათუმისა და სხვათა სკოლები.

ამასთან, აღინიშნა კოლეგიაზე, მთელი რიგი საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციების ცუდი მუშაობის გამო ზოგიერთი სკოლის მშენებლობის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი უკლია. 1 ივლისისათვის საექსპლოატაციოდ გადასაცემი სასკოლო ობიექტების მშენებლობის გეგმა მხოლოდ 47 პროცენტით შესრულდა. უკვე დღეს ცხადია, რომ მშენებელთა მიზეზით პირველი ზარის სიხარულს ვერ იგრძნობენ ცხაკაიის, აბაშის რაიონის სოფელ აბაშისპირის, გარდაბნის რაიონის სოფელ მუღანლოს, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯისა და ზოგიერთი სხვა სოფლების მოსწავლეები. ახალი სკოლების მშენებლობა აქ შეუწყარებლად ფერხდება პროექტებში უხეში დარღვევების გამო.

იმის გამო, რომ გვიან დაიწყო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და საჭირო მასალები არ იყო ადგილებზე, ახალი სკოლების მშენებლობის დამთავრებას დიდი დრო დასჭირდება ბორჯომის რაიონის სოფელ დიდ მოტარბაში, ჯავის რაიონის სოფელ სინაგურში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამებაში, სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკაში, წალენჯიხის რაიონის სოფელ ლევაფაში, ჩხორწყუს რაიონის სოფელ ახალთაში, გულრიფშის რაიონის სოფელ ჩხალთაში.

კოლეგიაზე აღინიშნა ზოგიერთი სკოლის შენობის მშენებლობის დაბალი ხარისხიც. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ ტექნიკიერ ტექნიკურ ... ...

მსოფლიო დღეს

4 აგვისტო

ამბები • ფაქტები

საკადრისი და ესპოზიციის პრესის საგანგებო იტყობინებიან

მეჯიტი საფუძველი

კვლავ ფართოდ განიხილავენ ისტორიული ფორუმის შედეგებს

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბევრი თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის პოლიტიკური მიმომხილველნი „კვლავ ფართოდ განიხილავენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგებს, ამასთან ხაზს უსვამენ, რომ საქმრო დაინიერგოს პრაქტიკაში, საერთაშორისო ცხოვრების კანონი გახდეს დასკვნენ აქტში ჩამოყალიბებული სახელმწიფოთა ურთიერთობის „სწორი და სამართლიანი პრინციპები.

საერთაშორისო პრესის კომენტარებში აღნიშნულია, რომ ჰელსინკის ისტორიულ ფორუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა გამსჭვალულია დიდი ზრუნვით ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შემდგომი განმტკიცებისათვის.

გუდაკეშები. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანო „ნეფსაბადშაგი“ ხაზს უსვამს, რომ თათბირის დასკვნითი დოკუმენტი შეიცავს მშვიდობიანი თანაარსებობის, დაძაბულობის შენელების პროცესის განმტკიცებისა და გაღრმავების ძირითად პრინციპებს.

სავსებით ბუნებრივია, წერს გაზეთი „ნეპს

 სიცხე, დამსვენებელი, მომსახურება

საგარეუბნო კურორტებზე

როგორ ემსახურებიან დამსვენებლებს

ქალაქი შემაწუხებელი სიცხეა. წყნეთში, კიკეთსა და კოჯორში კი დამამაღვნები პიჯაკიზსუტული დაღიან. რაოდენ დიდი კონტრასტია, როგორც სინოპტიკოსები ამტკიცებენ. თბილისსა და მის შემოგარეს კურორტებს შორის ტემპერატურის სხვაობა ექვსი-შვიდი გრადუსია. ამტკიცებ არის, რომ ბევრი თბილისელი ამ გაგანია სიცხეში თავს საგარეუბნო კურორტებს აფარებს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ წლეულს წყნეთი, კოჯორი და კიკეთი, წინანდელთან შედარებით, უფრო მომზადებული შეხვდნენ დამსვენებლებს, დროულად გაუკეთეს რემონტი საცხოვრებელ კორპუსებს, კეთილმოწყობილი გაიადეს გზები და ქუჩები, გახსნეს ახალი სავაჭრო და საზეკების ობიექტები. ადგილობრივ მოსაზრეთა ორკომბინატის რაიონის სურსათვაჭრობის კოლექტივის მეცადინეობა, რომ წყნეთის დამსვენებლები კარგად იქნან მომარაგებული ყველა სახის სურსათ-სანოვაგით. მაღაზიებში პროდუქტების ფართო ასორტიმენტია. თუმამ არის ახალი ხორცი, ყველი, რძე, სულგუნი, რძის სხვა პროდუქტები, მინერალური წყლები, ლუღი, ლიმონათი და სხვ.

...კოჯრის ტყე. მისი ბადალი იშვიათად თუ იქნება ქვემო ქართლში. ბაბათ-ავერის აქ უაზრავი არაორგანიზებული დამსვენებელი იყრის თავს. მოდიან ოჯახები, მეგობარ-ამხანაგები, საწარმოთა კოლექტივები.

ტყეებში, თუდამ რომ ბრილა და ნიავი უბერავს, დგანან სპეციალური ავტომანქანები, რომლებზეც გაკრული წითელ მატერიებს აწერია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! თქვენ გემსახურებთ კოჯრის სამომხმარებლო რაიკოპერატივი". შეხვედრა სტუმართმოყვარეობა რომ გაუწიონ დამსვენებლებს ერთმანეთთან შეჯიბრობენ აქეთ შინდისის, ტაბახმელის, თელეთისა და ბეთანიის სასადილოებისა და რესტორნების კოლექტივებს, აქვე თავისი ნახელავი მოუტანია თბილისის ბუტერორნ „კოლხიდასაც". დამსვენებელი ნამდვილად კმაყოფილია საჭკეების. მუშაკთა ასეთი დახვედრით.

და მიუხედავად ამისა, საგარეუბნო კურორტების დამსვენებელთა მომსახურებაში მაინც არის სერიოზული ნაკლოვანებები.

ᲬᲘᲜᲐᲛᲔᲢᲘ: აქ უზიერმაღის ორსართულიანი შენობა საკაჭრო ობიექტების ფლაგმანად ითვლება. შენობა აგებულია თანამედროვე სტილით. საკონლიც თითქოს არ უნდა იყოს შიგ ცირე რაოდენობით. მაგრამ ყოველივე ეს სრულიად ხელმიუწვდომელია დამსვენებლისათვის. აქ ტანსაცმელის, ფეხსაცმლისა და სხვა საოჯახო ნივთების სექციები ათ დღეზე მეტია ალარ ვაჭრობენ.

მიზეზი?

ვერა და ვერ შეარჩიეს გამყიდველთა კადრები (?!) აღნიშნული საკაჭრო ობიექტი მესამე თვეა, რაც თბილისის ცენტრალური უნივერმაღის ფილიალად აქციეს. უნივერმაღის დირექტორი მ. ყიფიანი წყნეთის ხშირი სტუმარია და მის მიმართ გულგრილობას როდი იჩენს, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მდგომარეობა უცვლელია. ვერ გავამართლებთ „თვით ფილიალის დირექტორს ო. ხრიკულს, რომელიც თავის მხრივ ქმედით ზომებს არ იღებს გამყიდველთა კადრების შერჩევისათვის.

— რა ვქნა, არავის არ უნდა ჩვენთან მუშაობა, — მისი ეს განცხადება უპასუხისმგებლობას უფრო წაიგავს, ვიდრე საქმისადმი ინტერესს.

მაღაზიის ერთ-ერთ შენობის, სტალინის ქუჩაზე რომ არის, ორი ბრა აქვს. ერთზე წერია „სურსათი", მეორეზე — „ჩამოფასებული სამრეწველო საქონელი". სინამდვილეში რომელია სწორი?

მაღაზია უგამყიდველოდ მომსახურებაზე! — ეს პროგრესული მეთოდი ახლა სულ ფართო ადგილს იჭერს ჩვენს სავაჭრო სისტემაში. წყნეთში კი უგამყიდველო მაღაზიას სულ სხვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორიგინალური შინაარსი მისცეს. სპორტსაქონლის № 109 მაღაზიამაც გამყიდველების უყოლობის გამო დაკეტა თავისი ფეხსაცმლის განყოფილება. როგორც ამ მაღაზიის გამგე გ. შახულოვი აღნიშნავს, შტატით ექვსი კაცი უნდა მუშაობდეს, სინამდვილეში კი 2 კაცი ყავთ.

პარფიუმერიის მაღაზია რუსთაველის ქუჩაზე:

— სახის კრემი გაქვთ?

— არა!

— კბილის ჯაგრისი?

— არა!

— თმის შესაღები საშუალება?

— ორი თვეა თვალით არ მიხახავს, მოთხოვნილება კი არის, — უპასუხებს დამსვენებელს კითხვაზე გამყიდველი ლიანა დალაქიშვილი და იქვე უმატებს: ამ ბოლო დროს საქონლით ძალიან ცუდად ვმარაგდებით. ამავე აზრისა არიან სამეურნეო და სამრეწველო საქონლის მაღაზიების სხვა გამყიდველებიც.

დამსვენებელთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ვერც სპორტსაქონლის მაღაზია, რომელიც სტალინის ქუჩაზე არის მოთავსებული. აქ მომხმარებელს არ შეუძლია იყიდოს თავისთვის სასურველი ზომების მამაკაცის მაისურები, წინდები, ფეხსაცმელი და სხვა საქონელი.

წყნეთში ცუდად როდი დგას დამსვენებელთა ხიდობსტეეულით მომარაგება, მაგრამ ამ მხრივაც ზოგიერთ ჯერ კიდევ მოუგვარებელია. თბილისელებმის ერთ-ერთი მაღაზია თვით ბაზრის ტერიტორიაზეა გახსნილი. შემოწმების დღეს აქ უხვად ჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, მაგრამ ძალდნენ სამი დღის მოტანილ, უკვე გაფუჭებულ პამიდრს. ბადრეჯანი და ვაშლი კი საერთოდ არ იყო. სწორედ ამ პროდუქტებს აფასებდნენ ქირძო მოვაჭრენი ბაზარზე ყველაზე ძვირად...

საინტერესოა, რით ახსნიან საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მეხვეურნენ იმ ფაქტს, რომ 2 აგვისტოს ეს ობიექტი მთელი დღე დაკეტილი იყო? ასევე ისმის კითხვა: ვინ ააგო სანაყინე ნაგებობა რუსთაველის ქუჩაზე, რომელსაც მეორე წელია ერთი დღეც არ უმუშავია? სპეციალისტების აზრი კი ასეთია: დაჯერს თუ არა მზე შენობაში, ისეთი ტემპერატურაა, ნაყინს რა ეაიძლებინებს...

კიკეთი. უკვე ვთქვით, რომ კიკეთი არაჩვეულებრივი დასასვენებელი ადგილია. მაგრამ დახეთ უბედურებას. კაცს რომ წვეის გარსვა უნდოდეს ან წყნეთსა და კოჯორში უნდა ჩავიდეს, ან თბილისში. საერთოდ აქ საყოფაცხოვრებო მომსახურებას გასხსნილი არა აქვს არავითარი ობიექტი. ცუდად არის ტელეფონით კავშირის საქმეც.

კოჯორი. როგორც სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. კლდიაშვილმა გვითხრა, სეზონში აქ 20-25 ათასი დამსვენებელი იყრის თავს. სადაბო საბჭოს თავის მხრივ რამდენადმე კარგი ღონისძიება განუხორციელებია, რომ დამსვენებელთათვის ნორმალური პირობები შეექმნა. კერძოდ, ბაღში გააკეთეს წყარო, საიდანაც ცივი, ანკარა წყალი მოჩუხჩუხებს. მოლიანად მოასფალტეს ბარათაშვილის ქუჩა, აგრეთვე სკოლასთან და ქოროღლის უბანთან მისასვლელი გზები. რემონტი გაუკეთეს ბანოს, გაიხსნა ორი სასურსათო მაღაზია, რომლებიც შეუფერხებლად მარაგდება ფართო ასორტიმენტის პროდუქტებით, მაგრამ... კვლავ პრობლემად რჩება დამსვენებელთა წყლით უზრუნველყოფის საკითხი. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით ჯერ კიდევ 1970 წელს უნდა დამთავრებულიყო 1.000 კუბმეტრიანი რეზერვუარის მშენებლობა. დღეისათვის კი მხოლოდ ხარჯთაღრიცხვის შედგენაა დამთავრებული. ამ საქმეში მეტი ინტერესი უნდა გამოიჩინოს თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის მეურნეობის საწარმოს სამმართველომ.

მოუგვარებელია სოფლის ელექტრონი უზრუნველყოფის საქმე. არ იქნა და არ გადაწყდა აქ ელექტროქვესადგურის მშენებლობის საკითხი. მინდისის ქვესადგური კი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს კოჯრელთა მოთხოვნილებას. ამ საქმის მოგვარება დაკისრებული აქვს საქენერგოს, მაგრამ საქმე ჯერჯერობით მხოლოდ მიმოწვერის სტადიაშია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ კოჯორში ერთგვარ ანტისანიტარიას აქვს ადგილი. არავინ ზრუნავს კანალიზაციის მოგვარებისათვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის საბინისტრო მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ერთი ნაგვის ყაზი მანქანა გამოუყო ამოდენა სოფელს.

სამი წელია შენდებოდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი და როგორც იქნა წელს დამთავრეს, მაგრამ საექსპლოატაციოდ სრული გადაცემა ჯერ ვერ მოხერხდა. 30-სამუშაოადგილიანი კომბინატი ერთი მესამედითაც არ არის დაკომპლექტებული. ამ კომბინატში დღემდე არ არის გახსნილი ტელეატელიე, ქიმიური წმენდის მიმღები პუნქტი, ფოტოატელიე, მსახურთის სახელოსნო, გამჭირვალეობა პუნქტი და სხვ.

დასვენება კულტურული და სპორტული გართობის გარეშე წარმოუდგენელია. კოჯორში ამ მხრივაც სერიოზული ნაკლოვანებაა. კინო-სურათებისა და ფარმოდგენა-კონცერტების ნახვა დამსვენებლებს ფეხზე დგომელა უხდებათ. ვერ მოხერხდა კულტურის სახლის დარბაზში საამო სკამების დადგმა, დანჯრეულების ახლით შეცვლა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება, ჯერ კიდევ დადებითად არ არის გადაწყვეტილი კოჯორში ტურბაზისა და სასტუმროს აგების საკითხი, რატომღაც მივიწყებულია სპორტული მოედნების მშენებლობაც.

დამსვენებელთა მომსახურებაში არსებული ნაკლი უნდა გამოსწორდეს, საგარეუბნო კურორტები წყნეთი, კიკეთი და კოჯორი მეტი ყურადღების ღირსია.

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის" საკ. კორ.

ინიციატორი, ლაურეატი, მხატვარი

ᲝᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲡᲠ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში კარგად იცნობენ კომკავშირელ მარინე კობიაშვილს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი მოვიდა საწარმოში და გამოცდილი ოსტატების დახმარებით მალე დაეუფლა ელექტრომონტაჟის პროფესიას. მუყაითმა გოგონამ დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა, მოკლე დროში მას კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელობა მიანდეს.

გაერთიანებაში მარინე კობიაშვილს პირველს მიენიჭა ხარისხის ფრიადსნიან წოდება, მიეცა უფლება პროდუქცია ჩაბარების პირადი დაღით. ინიციატივისა და შემოქმედებისათვის, შემხვედრი გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, დამკვრელური შრომისა და სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის მარინე კობიაშვილს 1974 წელს ლენინური კომკავშირის პრემია მიენიჭა. მოწინავე მუშა ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. მარინეს კარგად ეხერხება ხატვაც.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — საამქროს ელექტროგამმართველი ვლადიმერ გელოტაშვილი და მარინე კობიაშვილი; ქვემოთ — სამუშაოსაგან თავისუფალ დროს მარინე კობიაშვილი გატაცებით ხატავს თბილისის პეიზაჟს.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შეფეგი—დუშეთს

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ლენინის რაიონის დაახლოებით 300 წარმომადგენელი — კვების, მრეწველობის, მშენებლობა და საფეიქრო მრეწველობის, ელექტრონულ-ინფორმაციული ტექნოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სსრ კავშირის სახსტანდარტის რესპუბლიკური სამმართველოს, საბჭოთა კავშირის მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალისა და რაიონმმკომის სამსახურების მუშაკები იყვნენ სამეფო დუშეთის რაიონში. მათ ლენინის რაიონის ავტომაკრანსპორტო საწარმოთა 35 სატვირთო ავტომობილით მიმდევრებიდან გაიტანეს თოკი. ადამიანის საკვები მეცხოველეობის მეურნეობებისათვის.

დუშეთის რაიონში იყო მეფიცარნის მუშაკთა ჯგუფიც ლენინის რაიონის „თავკარი ეკრანის" გ. ს. ერისთავის მეთაურობით. დუშეთისა და ფინვალის საკალმფყოფლებში მათ ჩაატარეს კონსულტაციები, პრაქტიკული დახმარება გაუწიეს სოფლად მომუშავე კოლეგებს.

საღამოს გაიმართა კონცერტი. (საქინფორმი).

სამი საგზურის 16 მაძიებელი

ᲕᲘᲜ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲡ?

1978 ᲬᲚᲘᲡ მსოფლიოს ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა უნდა დაიცვას თავისი წოდება.

ვინ შეხვდება მსოფლიოს ჩემპიონს? ეს უნდა გამოირკვეს რვა პრეტენდენტის ჭატჩების მომდეგ, რომლებიც 1977 წელს გაიმართება.

პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამოსვლის უფლება ჯერჯერობით ორ დიდოსტატს აქვს: მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ფიშერსა და კორჩნოის. დანარჩენი ექვსი პრეტენდენტი კი გასულ შეირჩევა—ორდიდ საზონთაშორისო ტურნირში. ამ საზონთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის უფლება საბჭოთა კავშირიდან უკვე აქვთ მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს სპასკის, პეტროსიანსა და ტალს, დიდოსტატებს გელერს, პოლუგაევსკისა და კუზმინს. კიდევ სამი მონაწილე საბჭოთა კავშირიდან სპეციალური ზონალური ტურნირის შემდეგ გამოვლინდება.

წლეულს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რამდენიმე ასეთი ზონალური ტურნირი გაიმართება. უკვე ცნობილია ორი მათგანის შედეგი. ასე, მაგალითად, აზიის ზონიდან საზონთაშორისო ტურნირის საგზური მოიპოვეს ახალგაზრდა დიდოსტატმა ტორომ (ფილიპინები) და საერთაშორისო ოსტატმა ტანმა (სინგაპური). ზონალური ტურნირის უფლებები ჰქონდა აშშ-ს ჩემპიონატს. აქ დამაჯერებლად გაიმარჯვა ახალგაზრდა დიდოსტატმა ბრაუნმა. მეორე ადგილი და საზონთაშორისო ტურნირის კიდევ ერთი საგზური დარჩა ოსტატ როგოფს. საინტერესოა, რომ ამჯერად მარცხი იგემეს ცნობილმა დიდოსტატებმა კავალეკმა და 64 წლის რეშევსკიმ, რომელიც წინა საზონთაშორისო ტურნირში თამაშობდა.

და აი, დღეს ვილნიუსში იწყება ზონალური ტურნირი საბჭოთა მუქადარაკელებისათვის. მის შესახებ ჩვენ ვესაუბრეთ საკავშირო კატეგორიის მსაჯს დოროგოვიჩს:

— თქვა არ უნდა, ეს იქნება მეტისმეტად საინტერესო ასპარეზობა. სამი საგზურისათვის ხომ თექვსმეტივე მონაწილე ებრძოლებს. თუმცა სჯობს ჯერ შემადგენლობას გადავხედოთ. ვილნიუსში ითამაშებენ დიდოსტატები — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ბელიავსკი (ლვოვი), ბროწშტეინი, ბალაშოვი, ვასიუკოვი (საბიეკ— მოსკოვი), ხოლმოვი (მოსკოვის ოლქი), ტიმანოვი (ლენინგრადი), ვაპანიანი (ერევანი), სავონა (ხარკოვი), ტუმანკოვი (ოდესა), გუფელდი (თბილისი), საერთაშორისო ოსტატები რომანიშინი (ლვოვი), ცეშკოვსკი (ომსკი). ოსტატები — მოსკოვის ჩემპიონი კ. გრიგორიანი, უკრაინის ჩემპიონი ალბურტი (ოდესა), მოსკოველები დვორეიკი და გულკო. უკანასკნელ მომენტში თამაშზე უარი განაცხადეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა და დიდოსტატმა ფურმანმა, რომელიც ავგუსტოში მსოფლიოს ჩემპიონ კარპოვს უნდა წაჰკვეს მილანში.

ვილნიუსის ტურნირი, მართალია ფრიად თავისებური ასპარეზობა იქნება. დიდოსტატებს რომ თავი დაკანონთო, შეჯიბრებაში მონაწილე თვითეულ ოსტატსაც დიდი წარმატებები აქვს. ასე, მაგალითად, ცეშკოვსკიმ უკვე ორჯერ შეასრულა დიდოსტატის ნორმა და ახლა მხოლოდ ფიდე-ს კონგრესის გადაწყვეტილებასღა ელოდება. რომანიშინი საბჭოთა კავშირის თასის მფლობელია. დვორეიკიმ წლეულს დიდი ეპირატესობით გაიმარჯვა ვეიკ-ანზეეს ოსტატთა ტურნირში და გაიაზად აქვე, უკვე დიდოსტატთა ტურნირში ითამაშებს. გულკომ ბოშან რამდენიმე საკავშირო და საერთაშორისო ტურნირში დაიკავა პირველი ადგილი.

ერთი სიტყვით, დაველოდოთ ცნობებს ვილნიუსიდან. აქ ბევრი რამ საინტერესო გველას.

ბ. ბამრეკელი.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲒᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ

ᲓᲦᲔᲡ მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლენინგრადი გაიმართება „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მე-18 ტურის ერთი მატჩი — დედაქალაქის „ტორპედო" მიიღებს თბილისის „დინამოს".

ეს იქნება ძველ მეტოქეთა 67-ე მატჩი ერთმანეთთან საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში. 30 შეხვედრა მოიგო „დინამომ", 17 — „ტორპედომ", 19 — ფრედ დამთავრდა, ბურთების სხვაობაა 120:95 ქართველ ფეხბურთელთა სასარგებლოდ. შეგახსენებთ, რომ წელს პირველი წრის მატჩი თბილისში მოიგეს დინამოელებმა. — 2:0.

დღევანდელი ასპარეზობის **მეორე ტაიმი** მოსკოვიდან ტრანსლირებული იქნება **ცენტრალური ტელევიზიით 22 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით.**

ᲙᲐᲕᲐᲕᲨᲘᲠᲘ სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ ახალი შესწორება შეიტანა გათამაშების კალენდარში: „ზენარტ" — „შახტიორი" და „დნეპრი" — „შახტიორი" 10 და 17 აგვისტოს ნაცვლად ისასპარეზებენ შესაბამისად 17 და 24 სექტემბერს.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ „ᲙᲐᲠᲞᲐᲢᲘᲗᲘᲗ"

ᲚᲕᲝᲕᲘ დამთავრდა ექვსთა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. ადგილობრივმა „კარპატიმ" გადამწყვეტ მატჩში მოუგო რუმინეთის კლუბ „ასა"-ს (თამაშის ძირითადი დრო — 0:0, პენალტები — 10:9) და პირველობა მოიპოვა. მესამე ადგილზეა ბულგარეთის „დუნაი", რომელმაც დიდი ანგარიშით 5:1 მოუგო დნეპროპეტროვსკის „დნეპრს".

ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲮᲐᲚᲘᲩᲔᲑᲖᲔ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ გერმანელი სპორტსმენი-ანგარიფოშისტის ვერნერ ზეელენბინდერის ტრადიციული საერთაშორისო მეშორიალი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში გაიმართა ლაიფციგში. ეს იყო საუკეთესო რეპეტიცია მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

ლაიფციგის ხალიჩაზე გამოვიდა 16 ქვეყნის 208 ფალავანი. წარმატებით იასპარეზეს მასპინძლებმა, რომლებმაც ჭიდაობის ორივე სახეობაში მოიპოვეს 5 ოქროს, 2 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს medali. საბჭოთა სპორტსმენებიდან ჩემპიონები გახდნენ თავისუფალ სტილში გროზნოელი ს. ხასიმიკოვი და სიტეიკაკრელი ვ. ბარშუკოვი, კლასიკურში — ციროველი ნ. ბოტევი. ჭიდაობის ამ ბოლო სახეობაში მესამე იყო თბილისელი ჯუმალ მეგრელიშვილი.

* * *

ᲮᲣᲗᲘ ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს medali მოიპოვეს საბჭოთა კლასიკური სტილის ოსტატებმა საერთაშორისო შეჯიბრებაში დუნაისპირა ქვეყნების თასზე იუგოსლავიის ქალაქ ლადოვიში.

პირველ ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველები რ. კაზაკოვი, ვ. ნეჩაევი, ე. არტიუხინი, ე. შმეკმპირი (ალმა-ათა) და მ. ხისაუტდინოვი (მოსკოვის ოლქი).

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებულ შტატებში საჩვენებელი გამოსვლების ჩასატარებლად კვლავ გაემგზავრა საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი. მის შემადგენლობაში არიან ნელი კიმი, ნიკოლოზ ანდრიანოვი, ელენა სალი, ალექსანდრე დიტიატინი, ნინო დრონოვა, პაატა შამუგია, ლიდია გორბიკი, ვლადიმერ ტიხონოვი, ანტონინა გლუბო